საქართველოს
პარლამენტი

საქართველოში შრომისა და სოციალური დაცვის სფეროების განვითარების ხედვა 2030 წლისთვის

2017

ევროკავშირი
საქართველოსთვის

The European Union for Georgia

საქართველოს
პარლამენტი

Empowered lives.
Resilient nations.

მოამზადა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ შეიძლება ჩაითვალოს დონორი ორგანიზაციების პოზიციად.

შინაარსი

შესავალი 4

დოკუმენტის შემუშავების პროცესი 5

განვითარების ხედვა 6

ძირითადი მიდგომები 7

სტრატეგიული პრიორიტეტები 9

1. დასაქმებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობათა გაზრდა 9
2. ხანდაზმულთა სოციალური დაცვისა და ასაკობრივი პენსიის სისტემის სრულყოფა 11
3. ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფა 13
4. თემზე დაფუძნებული მომსახურებებისა და სოციალური მუშაკის როლის გაძლიერება . .14
5. სოციალური დაცვის სისტემის ორიენტირება ბავშვსა და ოჯახების გაძლიერებაზე 16
6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინკლუზია 17

შესავალი

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი უძღვება ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს სფეროებს, რომელთა პრიორიტეტულობა დეკლარირებულია საქართველოს სამთავრობო სტრატეგიებისა და პოლიტიკის დოკუმენტებში, ასევე არაერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაში. საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ადგენენ პარლამენტის კონსტიტუციურ პრეროგატივას: განსაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა და აკონტროლოს დასახული კურსისა თუ ვალდებულებათა შესრულება.

IX მოწვევის პარლამენტის ბიუროს დამტკიცებული დებულების თანახმად, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების, დედათა და ბავშვთა დაცვის, ოჯახის განვითარების, ხანდაზმულთა, ვეტერანთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კომიტეტი უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემის მიმდინარე რეფორმის, რეორგანიზაციისა და რესტრუქტურიზაციის პროცესში.

კომიტეტის აღნიშნულ უფლება-მოვალეობათა სრულფასოვნად აღსრულება განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე, როდესაც, ერთი მხრივ, იგეგმება სოციალური სახელმწიფოს შესახებ საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერის განვრცობა. მეორე მხრივ კი, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში, ქვეყანამ იკისრა ვალდებულება, ეტაპობრივად მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან კანონმდებლობასთან და იხელმძღვანელოს გაეროს კონვენციებითა და მდგრადი განვითარების მიზნებით (SDGs) შრომის, სოციალური დაცვის და სხვა სექტორებში.

საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში, კონსტიტუციის კანონპროექტის მე-5 მუხლში აღნიშნულია, რომ საქართველო, როგორც სოციალური სახელმწიფო ზრუნავს:

- საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე;
- ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის (მაღალმთიანი რეგიონების განსავითარებლად კანონი ქმნის განსაკუთრებულ პირობებს);
- მოქალაქის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე;
- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის განვითარებაზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე.

გარდა ამისა, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს მოქალაქეს დასაქმებაში და კანონით განსაზღვროს საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები.

ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს შრომისა და სოციალური დაცვის სფეროს გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბება. ეს აუცილებელია კონსტიტუციაში დეკლარირებულ ვალდებულებათა რეალიზებისათვის, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ქმედითი სისტემის დანერგვისათვის, რომელიც ადამიანის უფლებებზე დამყარებულ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. მოცემული დოკუმენტი განსაზღვრავს 2030 წლამდე საქართველოს ხელისუფლების თანმიმდევრული პოლიტიკის ფორმირების გზებს შრომა-დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროებში.

2017-2020 წლებში ხედვის ეფექტიანად დანერგვისათვის, აგრეთვე კანონშემოქმედებითი და საზედამხედველო ფუნქციების წარმატებით განსახორციელებლად, IX მოწვევის პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი იხელმძღვანელებს სამოქმედო გეგმით, რომელიც განსაზღვრავს კომიტეტის ამოცანებსა და ღონისძიებებს ამ პერიოდში. გარდა ამისა, გრძელვადიანი ხედვის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სხვა სახელმწიფო სტრუქტურები შესაბამის სამოქმედო გეგმებს შეიმუშავებენ.

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ინიციატივა, შეიმუშავოს ქვეყანაში შრომისა და სოციალური დაცვის სფეროს გრძელვადიანი განვითარების ხედვა და კომიტეტის სამოქმედო გეგმა, განხორციელდა ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის — „საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ — მხარდაჭერით.

დოკუმენტის შემუშავების პროცესი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გრძელვადიანი განვითარების ხედვა ეყრდნობა ქვეყნის კონსტიტუციაში, საქართველოს პარლამენტის რატიფიცირებულ საერთაშორისო კონვენციებში, სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტებში, მმართველი პარტიის საარჩევნო პროგრამასა და სხვა საკვანძო დოკუმენტებში გაწერილ პრინციპებსა და ვალდებულებებს. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პრიორიტეტულ მიმართულებებსა და ქვეყნის მიერ აღებულ ვალდებულებათა მონიტორინგის მექანიზმებს. სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულია სამაგიდო კვლევის შედეგად მოძიებული მნიშვნელოვანი ანგარიშების მიგნებები და რეკომენდაციები.

სტრატეგიული ხედვისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, ჩატარდა 40-მდე ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრა თუ კონსულტაცია, რომლებშიც მონაწილეობდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრები, პარლამენტის სხვა კომიტეტების წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და სამოქალაქო სექტორის ექსპერტები შრომა/დასაქმების, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში. დოკუმენტის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობა სტრატეგიული ხედვის თანმიმდევრულად დანერგვისა და დასახული მიზნის მიღწევის გარანტიაა.

განვითარების ხედვა

საქართველოს მთავრობის პოლიტიკა, კერძოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია („საქართველო 2020“), ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებს სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვირდების მნიშვნელობაზე. მთავრობის სტრატეგიის ამ პრინციპების განმახორციელებელ ინსტრუმენტებად განიხილება უმუშევრობის შემცირება და მოსახლეობის უზრუნველყოფა ღირსეული შრომის პირობებით, ასევე ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების, ჯანდაცვისა და საბაზისო სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ინკლუზიურობაზე ორიენტაცია.

შესაბამისად, გრძელვადიან პერსპექტივაში, ქვეყნის მთავრობის მიზანია, ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ სამართლიანობას შორის ბალანსის მიღწევა და გზების გამოკვეთა, რომლებიც მიმართული იქნება არა მხოლოდ სიღარიბესთან ბრძოლისკენ, არამედ ქვეყანაში სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობისაკენ, მარგინალიზაციის პრევენციისა და სოციალური კეთილდღეობისაკენ.

ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სფეროების განვითარების გრძელვადიანი ხედვა, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით, ხელს შეუწყობს სფეროს საკანონმდებლო ბაზის, პოლიტიკისა და პროგრამების ფორმირებას, მათი განხორციელების და შეფასების ეფექტიანი სისტემის შემუშავებას. გრძელვადიანი განვითარების ხედვა განავრცობს ვალდებულებებს, რომლებიც გაწერილია სტრატეგიაში „საქართველო 2020,“ ასევე საქართველოს მთავრობის 2016-2020 წლების სამთავრობო პროგრამასა და სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფო დოკუმენტებში, რომლებიც შეეხება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, საბაზისო სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფას და უღარიბესი ფენების მიზნობრივ სოციალურ დახმარებას. დოკუმენტი აქცენტს აკეთებს შრომისა და სოციალური დაცვის უფრო ყოვლისმომცველი და ეფექტიანი სისტემის განვითარებაზე, რომელიც მოემსახურება რისკების შემცირებას, ჯანმრთელობისა და სოციალური პრობლემების პრევენციასა და დაძლევას, მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის ზრდას.

მოცემული დოკუმენტი მიზნად არ ისახავს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროების დეტალურ ანალიზს და დარგობრივი სამოქმედო გეგმების ჩამოყალიბებას. გრძელვადიანი ხედვა საფუძვლად დაედება ცალკეული სექტორების სტრატეგიული დოკუმენტების შექმნას, დაზუსტებას და თანმიმდევრულ განხორციელებას, ასევე უზრუნველყოფს სისტემის განვითარების ხედვის ძირითადი მიდგომებისა და პრინციპების შეუქცევადობას.

ძირითადი მიდგომები

დოკუმენტი ეფუძნება დეფინიციას, რომლის თანახმადაც, სოციალური დაცვა განისაზღვრება როგორც სახელმწიფო და კერძო პოლიტიკისა და პროგრამების ერთობლიობა, რომელთა მიზანია საზოგადოებაში არსებული სოციალური რისკების პრევენცია და შემცირება, მოწყვლადი ჯგუფებისა და პირების დაცვა-გაძლიერება, ასევე მოსახლეობის შრომითი აქტივაცია.

სისტემა ემსახურება როგორც დასაქმებულ, ასევე დაუსაქმებელ მოქალაქეებს, მათ შორის, ბავშვებს, ხანდაზმულებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს (შშმპ) და ა.შ. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, ინდივიდების სოციალური დაცვის საჭიროებათა გამოვლენისა და დაკმაყოფილებისთვის, სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირებაში საკვანძო როლი ენიჭება მომსახურებებს და სექტორებს შორის კოორდინაციას, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების შტოების შეთანხმებულ მოქმედებას. საჭიროა მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და სხვა ფრაგმენტული პროგრამების გამოყენებიდან სოციალური დაცვის კომპლექსურ სისტემაზე გადასვლა, ასევე მოსახლეობის შრომითი აქტივაცია, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას, მართოს რისკები, შეამციროს სიღარიბე და გაზარდოს კეთილდღეობის დონე.

შრომისა და სოციალური დაცვის სისტემის განვითარებისა თუ ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის გათვალისწინებული იქნება შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1. **ინკლუზიურობის უზრუნველყოფა.** სისტემის ინკლუზიურობის გაზრდას ხელს შეუწყობს მულტისექტორული მიდგომების დანერგვა, ეფექტიანი საჯარო მმართველობა, მტკიცებულებათა შეგროვება და პროგრამების ეფექტიანობის ანალიზი, კერძო და სამოქალაქო სტრუქტურებთან გაზრდილი კოორდინაცია და ა.შ. სოციალური დახმარების, შრომისა და სოციალური დაცვის სხვა პროგრამებში მეტად ჩაერთვებიან გარიყული და განსაკუთრებით მოწყვლადი ინდივიდები, ჯგუფები და თემები. ამას ხელს შეუწყობს ველზე გასვლის (აუთრიჩის) და შემთხვევის მართვის მომსახურებათა გაძლიერება, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სხვა ინოვაციური მიდგომების დანერგვა.

2. **სოციალური რისკების პრევენცია.** გაუმჯობესდება პრევენციული პოლიტიკის ძირეული ასპექტები, რათა ადრეულ ეტაპზევე გამოვლინდეს სოციალური რისკები; ასევე უმუშევრობით, ხანდაზმულობით,

შეზღუდული შესაძლებლობითა და სხვა გარემოებებით განპირობებული შემოსავლების კლება და სოციალური ფუნქციონირების მკვეთრი დაქვეითება დაკომპენსირდეს სოციალური დაცვითა თუ სხვა მექანიზმების გამოყენებით.

სოციალური რისკების პრევენციითა და კრიზისზე დროული რეაგირებით, საქართველოს მთავრობა თავიდან აიცილებს სირთულეებს და შეამცირებს შემდგომში უფრო ძვირადღირებული ინტერვენციების საჭიროებას (მაგ. ბავშვის ოჯახთან განცალკევებას და სახელმწიფო ზრუნვაში მის განთავსებას და ა.შ.).

3. **პროდუქტიულობის გაზრდა.** ადამიანურ კაპიტალში, განსაკუთრებით კი ბავშვებში, ინვესტირება გაზრდის ინდივიდების შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობს ზრდასრული მოსახლეობის ღირსეულად დასაქმებას და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას.

   დასაქმებისა და შრომის საკითხების მართვის პროცესში, სოციალური დაცვის სისტემის როლი იქნება დასაქმებულთა დაცვა, შრომის რეგულირება და შემოსავლის დაკარგვისგან დაცვის პროგრამების შემუშავება. ახალი სისტემა ასევე იზრუნებს მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღებთა ეკონომიკური აქტიურობის გაზრდაზე, რისთვისაც სხვადასხვა მექანიზმს გამოიყენებს, როგორიცაა დახმარების მიღების პერიოდში მათი უნარ-ჩვევების განვითარება, გამოცდილების გაღრმავება, დასაქმების ხელშეწყობა და სხვა.

4. **სისტემური მიდგომა.** სოციალური დაცვის პროგრამები უნდა ავსებდეს ერთმანეთს და პასუხობდეს მოწყვლადი მოქალაქეების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საქართველოში კარგად აპრობირებული მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა, მისი მონაცემთა ბაზა და ადმინისტრირების მექანიზმი მყარ საფუძველს შექმნის მასზე ურთიერთშემავსებელი სხვა პროგრამების დაშენებისათვის. ქვეყნის ხელისუფლებას სისტემური მიდგომის დანერგვაში დაეხმარება შრომის, სოციალური დაცვისა და სხვა სექტორთა შესაბამისი პროგრამების მიზნების, მათი შერჩევისა და შეფასების ინსტრუმენტთა სინქრონიზება.

   სისტემური მიდგომის დანერგვის პროცესში, ყურადღება გამახვილდება ქვეყნისათვის პრობლემურ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მოსახლეობის დაბერება, ახალგაზრდების უმუშევრობა, ინსტიტუციურ ზრუნვაზე მაღალი დამოკიდებულება, სოციალური სფეროს (განსაკუთრებით, პრევენციული და თემზე დაფუძნებული მომსახურებების) შეზღუდული დაფინანსება და ა.შ. შედეგად, გაძლიერდება სოციალური დაცვის სისტემის პრევენციული, რისკების შემცირებისა და მოსახლეობის შრომითი აქტივაციის ფუნქცია. იგი დაეფუძნება ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპს და ხელს შეუწყობს სოციალურ ინკლუზიას, თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრებას, სოლიდარობის განმტკიცებას, დისკრიმინაციის აკრძალვას, მონაწილეობასა და გამჭვირვალობას. საქართველოს ხელისუფლება აღიარებს ამ ღირებულებათა და პრინციპების უზენაესობას, რაც დასტურდება სახელმწიფოს რატიფიცირებული არაერთი საერთაშორისო კონვენციითა და ეროვნული სტრატეგიით.

შრომისა და სოციალური დაცვის სფეროების მნიშვნელობა იკვეთება გაეროს გენერალური ასამბლეის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგშიც („ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“). დოკუმენტი გამოყოფს ისეთ თემებს, როგორიცაა სიღარიბისა და შიმშილის დაძლევა, უთანასწორობის მოსპობა, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარება, დასაქმებისა და ღირსეული სამუშაოს ხელშეწყობა და ა.შ. მდგრადი განვითარების საქართველოსთვის მისადაგებულ მიზნებში კი გაწერილია ამ და სხვა სფეროებში ქვეყნის საბაზისო და 2030 წლის ინდიკატორები (მაგ. ბავშვთა შრომის შემცირება ორ პროცენტზე ნაკლებამდე; სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობის შემცირება ერთ პროცენტზე ნაკლებამდე და ა.შ.).

გარდა ამისა, ქვეყნის მთავრობისაგან აღნიშნულ ღირებულებათა მხარდაჭერას მოითხოვს ევროკავშირში ინტეგრაცია და ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიც, რაც საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედია.

სტრატეგიული პრიორიტეტები

1. დასაქმებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობათა გაზრდა

დასაქმება არის წამყვანი მექანიზმი შრომისუნარიანი ინდივიდებისა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ინკლუზიური აქტიური დასაქმების პოლიტიკის დანერგვა, უმუშევრობის პრევენცია, მიზნობრივი სოციალური დახმარების ბენეფიციართა დასაქმების მოტივაციის გაზრდა, შრომის ღირსეული პირობების შექმნა და დასაქმებულთა უფლებრივი გარანტიების დაცვა უზრუნველყოფს მოსახლეობის, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების შესაძლებლობების გაზრდას და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, თანაბარი შესაძლებლობების შექმნა, ცოდნაზე მოთხოვნის გაძლიერება და ადამიანური კაპიტალის განვითარება, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის სრულყოფა ხელს შეუწყობს ქვეყანაში მოსახლეობის დასაქმებას, სწრაფ და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას.

ამოცანა 1.1

შრომის კანონმდებლობის სრულყოფა, არსებული ნორმების საერთაშორისო სტანდარტებსა და იმ მოთხოვნებთან დაახლოება, რასაც ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციები და ევროპის სოციალური ქარტია ითვალისწინებს.

ამოცანა 1.2

შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შექმნა და განვითარება. აღნიშნული საინფორმაციო სისტემა ორიენტირებული იქნება სამუშაო ძალაზე, მოთხოვნა-მიწოდებისა და საჭირო უნარების შესწავლაზე, ტერიტორიულ ჭრილში ბაზრის მოთხოვნების პროგნოზირებაზე, შრომის ბაზრის მონიტორინგზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასაქმების აქტიური პოლიტიკის შემუშავებაზე, დასაქმების მხარდამჭერი პროგრამების შედეგთა შეფასებაზე.

ამოცანა 1.3

ცოდნასა და კვალიფიკაციაზე მოთხოვნის სტიმულირება; სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციის მიღება და დანერგვა; შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული განათლების (მათ შორის ზრდასრულთა განათლების) სისტემის ფორმირება.

ამოცანა 1.4

დასაქმების საკანონმდებლო მექანიზმების განვითარება და კერძო თუ სახელმწიფო (ადგილობრივი თუ ცენტრალური) სტრუქტურების მიერ სამუშაოს მაძიებელთათვის მიწოდებული დასაქმების სერვისების გაძლიერება; ადამიანური რესურსების განვითარების სქემების დანერგვა, რათა სამუშაოს მაძიებლებს, მათი ინტერესების გათვალისწინებით, მიეწოდებოდეთ გენდერულად დაბალანსებული, ინკლუზიური, ხარჯთეფექტიანი, პროაქტიული დახმარება.

ამოცანა 1.5

დაბალკონკურენტუნარიანი, შრომის ბაზარზე დისკრიმინაციის საფრთხის წინაშე მყოფი პირების შესაძლებლობათა განვითარება; დასაქმების დიფერენცირებული პროგრამების დანერგვა და დასაქმების სერვისების ხელმისაწვდომობა.

ამოცანა 1.6

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების კანონმდებლობით დარეგულირება და ეტაპობრივი დანერგვა; სახელმწიფოს მხრიდან შრომის პირობების ინსპექტირება და ზედამხედველობა.

ამოცანა 1.7

სახელმწიფო ტენდერებში მონაწილე და საბიუჯეტო დაფინანსების ორგანიზაციებში, ასევე მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სხვა სამუშაო ადგილებზე შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის გაზრდილი სტანდარტების დაწესება, დასაქმებულთა სიცოცხლის სავალდებულო დაზღვევა.

ამოცანა 1.8

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის გზით, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის საზედამხედველო მანდატის გაფართოება, რაც მოიცავს შრომითი პირობებისა და შრომის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული საკითხების სრულ სპექტრს.

ამოცანა 1.9

შრომის ინსპექციის სამსახურის აღჭურვა ქმედითი აღსრულების მექანიზმებით, სანქცირების სისტემებითა და საკადრო პოლიტიკით (მაგ. ტერიტორიული ერთეულები, ობიექტებზე უპირობო დაშვება, რეკომენდაციების და სანქცირების მექანიზმების სავალდებულოდ აღსრულების სისტემა და ა.შ.); ინსპექციის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერება და ინდივიდუალური ინსპექტორების დამოუკიდებლობის გარანტია.

ამოცანა 1.10

ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე შრომითი დავების მედიაციისა და სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მუშაობის ფორმატის დახვეწა.

ამოცანა 1.11

შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარება, რაც მოიცავს რიგ ასპექტებს: შრომის ბაზრის საშუამავლო საქმიანობა — ინფორმირება, პროფესიული დაგეგმვა, მოტივაციის ამაღლება, პროფესიული პროფილის და უნარების დიაგნოსტიკა-განსაზღვრა, ინდივიდუალური სასწავლო გზამკვლევის შემუშავება და მართვა, სამუშაოს მოძიებაში დახმარება და სამუშაოს მაძიებლის შრომის ბაზარზე ინტეგრაციის ხელშეწყობა; დასაქმებაზე ორიენტირებული პროფესიული გადამზადება; მომზადება, კვალიფიკაციის შეცვლა ან ამაღლება. ამასთან, აქტიური პოლიტიკის შედეგების მონიტორინგი — საბაზისო მაჩვენებლებისა და შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრა (მაგ. შრომის ბაზარზე სახელმწიფო დანახარჯი (მშპ %), დაცული დასაქმება (მშპ %), და ა.შ.).

2. ხანდაზმულთა სოციალური დაცვისა და ასაკობრივი პენსიის სისტემის სრულყოფა

ღირსეული ხანდაზმულობის უზრუნველყოფა მოითხოვს სოლიდარული და, ამავდროულად, მდგრადი საპენსიო სისტემის დანერგვას. თუმცა, ქვეყნის მოქალაქეთა ღირსეული ხანდაზმულობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედება, თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში საპენსიო ასაკის პირთა რაოდენობრივ ზრდას, შობადობის შემცირებას, სამუშაო ასაკში მყოფი მოსახ-

ლეობის კლებას, მიგრაციულ პროცესებსა და არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ასევე არსებითია ხანდაზმულთა შრომითი პოტენციალის გამოყენება და მოსახლეობის დაბერების საკითხის გათვალისწინება პოლიტიკის ყველა მიმართულებით.

ამოცანა 2.1

საპენსიო სისტემის შერეული მოდელის ეტაპობრივი დანერგვა; სოციალური და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემების ერთდროული ფუნქციონირება და საპენსიო ჩანაცვლების კოეფიციენტის გაზრდა უზრუნველყოფს სისტემის მეტ მდგრადობას და გაზრდის საპენსიო სისტემაში ჩართულ პირთა კეთილდღეობას *(ინდიკატორი 2030 წლისთვის: საპენსიო ჩანაცვლების კოეფიციენტი — 40%).*

ამოცანა 2.2

სოციალური და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემების შერეული მოდელის დასანერგად საჭირო ინფრასტრუქტურისა და საკანონმდებლო ბაზის განვითარება.

ამოცანა 2.3

ასაკობრივი პენსიის სარგებლის ოდენობის ზრდა და ინდექსაცია წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს საპენსიო ასაკში ხანდაზმულთა ღირსეულ ყოფას.

ამოცანა 2.4

მიგრანტებისა და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულ მოქალაქეთა დაგროვებით საპენსიო სისტემაში ჩართვის სქემების შემუშავება.

ამოცანა 2.5

შრომის ბაზრის ინკლუზიურობა, შრომისუნარიანი ხანდაზმული მოსახლეობის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად გადამზადება და დასაქმება, ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპების გათვალისწინებით.

ამოცანა 2.6

ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ხანდაზმულთათვის, შშმ პირთა და შშმ ბავშვთათვის ხანგრძლივი მოვლის, მათ შორის, შინ მოვლის პროგრამების დანერგვა, თემზე დაფუძნებული სხვა მომსახურებების განვითარება და სახელმწიფო დაფინანსების კრიტერიუმების გადახედვა, რაც ხელს შეუწყობს მათ დამოუკიდებლობას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და ინსტიტუციონალიზაციის პრევენციას.

ამოცანა 2.7

თაობათაშორისი სოლიდარობის წახალისება და ხანდაზმულთა არაფორმალური მომვლელების მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა.

3. ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფა

დღეისათვის, საქართველოში მიზნობრივი სოციალური დახმარების პოლიტიკა მიმართულია უკიდურესი სიღარიბისაგან მოსახლეობის დაცვასა და ბავშვთა სიღარიბის შემცირებაზე. პროგრამა ქმედითია, თუმცა, აუცილებელია, რომ მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და სხვა ფრაგმენტული პროგრამები ეტაპობრივად ჩაანაცვლოს პრევენციულმა სოციალური დაცვის სისტემამ. ეს საჭიროა საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და სოლიდარობის კონსტიტუციით აღიარებული პრინციპების განსამტკიცებლად. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების როლის გააქტიურება, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი სოციალური ბიუჯეტის რეგიონულ და გლობალურ სტანდარტებთან დაახლოება.

ამოცანა 3.1

მომსახურების სტანდარტის დადგენა და მინიმალური საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობის განსაზღვრა (მშპ %), რათა ქვეყნის მასშტაბით სოციალური დაცვის ერთიანი სტანდარტი შეიქმნას და არსებითად მთელი მოსახლეობა მოიცვას (SDG საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორი 2030 წლისთვის: 1.1.1 — სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა < 1%; 1.2.1 — სიღარიბის ეროვნულ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროპორციული ოდენობა შემცირებულია 20%-ით; 1.3.1 — სოციალური დაცვის ძირითადი სისტემებით დაფარულია ამის საჭიროების მქონე მოსახლეობის სულ მცირე 35%).

ამოცანა 3.2

რეგიონული უთანასწორობის აღკვეთის მიზნით, მცირებიუჯეტიანი მუნიციპალიტეტებისათვის ფინანსური რესურსების გადაცემა, რაც უზრუნველყოფს მინიმალური სტანდარტის შესაბამის მომსახურებებს.

ამოცანა 3.3

შრომისა და სოციალური დაცვის სფეროებში უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაცია, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის დელეგირების ხარისხის, დონისა და მიზნობრივი ტრანსფერების მკაფიო განსაზღვრა, სისტემის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

ამოცანა 3.4

მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და მონაცემთა გაცვლის დადგენილი სტანდარტის გათვალისწინება, რაც საჭიროა სოციალური დაცვის ქმედითი პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისათვის, ასევე ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე მათი ხარჯთეფექტიანად და კოორდინირებულად დანერგვისთვის.

ამოცანა 3.5

სოციალური პროგრამების, მომსახურებათა ხარისხის მონიტორინგის და მონაცემთა მართვის სისტემების ცენტრალურ დონეზე ფუნქციონირება, ეროვნული სტანდარტის შესაბამისად.

ამოცანა 3.6

მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ეფექტიანობის რეგულარული შეფასება, სტატისტიკის სამსახურის მიერ შეგროვებულ (დამატებით) მონაცემებზე დაყრდნობით.

ამოცანა 3.7

მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში ჩართულ შრომისუნარიან ბენეფიციართა დასაქმებით დაინტერესების და შრომით ბაზარზე გადასვლის მექანიზმების განსაზღვრა; ეკონომიკური გაძლიერებისა და სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით, სოციალური დახმარების პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა დასაქმების შემდეგ, გარდამავალი ზომების ამოქმედება.

4. თემზე დაფუძნებული მომსახურებებისა და სოციალური მუშაკის როლის გაძლიერება

ინდივიდების, ოჯახებისა და თემების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებათა შეთავაზება და შედეგების რეგულარული მონიტორინგი სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობის საწინდარია. ხარისხიანი, თემზე დაფუძნებული მომსახურებები უზრუნველყოფს მოწყვლად ჯგუფებში სოციალური პრობლემების პრევენციას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და რეზიდენტულ მომსახურებებზე მოთხოვნისა და ხარჯების შემცირებას. საგანმანათლებლო, ჯანდაცვის და სხვა მომსახურებათა ინტეგრირება თემზე დაფუძნებულ სოციალურ მომსახურებებთან მნიშვნელოვნად ზრდის მათ ეფექტიანობას თუ ხარჯთეფექტიანობას, ასევე აძლიერებს მოწყვლადი ინდივიდების სოციალურ ინტეგრაციას და ეკონომიკურ მდგომარეობას. თუმცა, საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა მწვავედ განიცდის ამგვარ მომსახურებათა და საჭირო ადამიანური რესურსების (განსაკუთრებით კი, სოციალური მუშაკების) სიმწირეს და დაფინანსების ნაკლებობას (სოციალური დაცვის პროგრამული ბიუჯეტის <1%).

ამოცანა 4.1

თემზე დაფუძნებული პრევენციული და ოჯახის დამხმარე მომსახურებათა ხარისხის გაუმჯობესება; გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის ზრდა; სახელმწიფო დაფინანსების მოცულობისა და კრიტერიუმების გადახედვა, რაც ხელს შეუწყობს მოწყვლადი ბავშვების, ხანდაზმულების, შშმ და სხვა პირების, ასევე მათი ოჯახის წევრების სოციალური კეთილდღეობის გაზრდას.

ამოცანა 4.2

საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნა, რომელიც მოიცავს როგორც პრევენციულ, ასევე უსახლკარობის დაძლევის პოლიტიკას; განსაკუთრებით მოწყვლად, მათ შორის, შშმ პირთა საცხოვრისის ეტაპობრივი უზრუნველყოფის დაგეგმვა ადგილობრივ დონეზე.

ამოცანა 4.3

რეინტეგრირებული და სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ბავშვების, შშმ პირებისა და სხვა მოწყვლადი ინდივიდების მხარდაჭერა ისეთ მომსახურებათა დახვეწით, რაც მათ რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში ინტეგრირებას უწყობს ხელს (მაგ.: საცხოვრისი, დასაქმების ხელშეწყობა და ა.შ.).

ამოცანა 4.4

შშმ ბავშვების შინ მოვლის პროგრამის გაფართოება, ასევე ზრდასრულთა და ხანდაზმულთა პროგრამის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციონალიზაციის პრევენციას და მომსახურების მიმღებთ თუ მათი ოჯახის წევრებს ცხოვრების ხარისხს შეუნარჩუნებს.

ამოცანა 4.5

ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, არალიცენზირებული რეზიდენტული საქმიანობის აღმოფხვრა; დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებათა სრული დეინსტიტუციონალიზაცია; მცირე ზომის რეზიდენტული მომსახურებისა და ოჯახის ჩამნაცვლებელი სხვა სერვისების სტანდარტის დახვეწა.

ამოცანა 4.6

მომსახურების დაგეგმვისა და შეფასების პროცესში ბენეფიციართა სრულფასოვანი ჩართვის უზრუნველყოფა.

ამოცანა 4.7

სოციალურ მუშაკთა მომსახურების მაღალი ხარისხისა და ამ მომსახურების მიმღებთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, პროფესიის მარეგულირებელი ჩარჩოსა და ერთიანი პროფესიული სტანდარტის შე-

მუშავება და ეტაპობრივი დანერგვა. შედეგად, უშუალო პრაქტიკის განხორციელების უფლება მიეცემათ მხოლოდ სოციალური მუშაკის აკადემიური კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებს.

ამოცანა 4.8

ცენტრალურ სტრუქტურებსა და ადგილობრივ დონეზე დაქირავებულ სოციალურ მუშაკთა რაოდენობის გაზრდა და სხვადასხვა დონეზე მათი საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესება; სახელმწიფო სოციალურ მუშაკთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრა შემთხვევათა კომპლექსურობის, გეოგრაფიული მდებარეობის, დამხმარე მომსახურებების ხელმისაწვდომობის, პროფესიონალთა კვალიფიკაციისა და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით (საშუალოდ, ერთი სოციალური მუშაკი 10,000 მოქალაქეზე; მაქსიმუმ 30 შემთხვევა ერთ სოციალურ მუშაკზე); კვალიფიციურ სოციალურ მუშაკთა დასაქმების ხელშეწყობის სქემათა დანერგვა რეგიონებში, სადაც პროფესიონალების ნაკლებობაა.

ამოცანა 4.9

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სოციალური მუშაობის მანდატის დაზუსტება და გაფართოება; ინტერვენციისა და მომსახურების მიწოდების მეთოდთა გაუმჯობესება; პროფესიული ზედამხედველობის, რეგულირებისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმების დახვეწა.

5. სოციალური დაცვის სისტემის ორიენტირება ბავშვსა და ოჯახების გაძლიერებაზე

ბავშვთა უფლებების დაცვა, სიღარიბის დაძლევა, ადრეულ ასაკში განათლების ხელშეწყობისა და ყველა ფორმის ძალადობისაგან დაცვა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში ინვესტირების ტოლფასია. ოჯახი კი, როგორც საზოგადოების საბაზისო ინსტიტუტი, საუკეთესო გარემოა ბავშვის აღზრდისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის. ამ მნიშვნელოვანი როლის შესასრულებლად, მოწყვლადი ოჯახები სახელმწიფოს კომპლექსურ დახმარებას საჭიროებენ.

ამოცანა 5.1

ქმედითი ზომების მიღება ბავშვთა სიღარიბის დასაძლევად და სიღარიბეში ჩავარდნის პრევენციისათვის; სოციალური დახმარების პროგრამებში მოწყვლადი ჯგუფის ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის მაღალი პრიორიტეტის მინიჭება დახმარებისა და ინტეგრირებული მომსახურების მიწოდებაში.

ამოცანა 5.2

არსებული სახელმწიფო პროგრამის გაფართოება, რომელიც ითვალისწინებს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელ და გრძელვადიან დახმარებას, და დამატებითი მექანიზმების და-

ნერგვა, რისი მიზანიც იქნება ბავშვთა მიტოვებისა თუ ოჯახებისგან განცალკევების პრევენცია და ბავშვთა სოციალური ინტეგრაცია.

ამოცანა 5.3

ოჯახის დამხმარე და ოჯახის ჩამნაცვლებელ მომსახურებათა განვითარება; შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების ოჯახსა ან ოჯახთან მიახლოებულ გარემოში აღზრდისა და განვითარების მიზნით, ჭიშკრის დარაჯობის (გეითკიფინგის) გამკაცრება, ოჯახის ჩამნაცვლებელ მომსახურებათა უკეთ რეგულირება, მათში ბავშვთა განთავსებისა და მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება.

ამოცანა 5.4

არსებული მექანიზმებისა და მომსახურებების დახვეწა-გაძლიერება, რომლებიც ემსახურება ბავშვთა დაცვას ძალადობის ყველა ფორმისაგან (მათ შორის, ბავშვთა შრომისა და ტრეფიკინგისგან), ასევე ოჯახში ძალადობისაგან ქალებისა და ბავშვების დაცვას, დახმარებასა და რეაბილიტაციას (SDG საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორი 2030 წლისთვის: 8.7.1 — ბავშვთა შრომის ყველაზე უარესი ფორმები აღმოფხვრილია და ბავშვთა შრომა შემცირებულია 2%-ზე ქვემოთ, არცერთი გამოვლენილი შემთხვევა არ დარჩა რეაგირების გარეშე; 16.2.1 — ბოლო წლის განმავლობაში ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობის, ფიზიკური დასჯისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის რეგისტრირებულ შემთხვევათა რაოდენობის საბაზისო მაჩვენებელი შემცირებულია 10-15%-ით).

ამოცანა 5.5

მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის განსაზღვრა; ასეთი ოჯახების ინდივიდუალურ საჭიროებათა შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმის დახვეწა.

ამოცანა 5.6

რთული ქცევის, წამალდამოკიდებული და სხვა საჭიროებათა მქონე ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო და ინტენსიური მომსახურებების სპექტრის გაფართოება.

6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინკლუზია

სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შშმ პირთა, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების რეალიზება, მათი პიროვნული ღირსების პატივისცემა.

ამოცანა 6.1

შშმ პირთა სტატუსის მინიჭების სოციალურ მოდელზე ეტაპობრივი გადასვლა და ფუნქციურ შესაძლებლობათა შესაბამისი სოციალური მომსახურებების სისტემის შექმნა.

ამოცანა 6.2

შშმ პირთა დამოუკიდებლობისა და ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, თემზე დაფუძნებულ არსებულ მომსახურებათა განვითარება; ისეთ მომსახურებათა ფინანსური ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება, როგორიცაა აბილიტაცია და რეაბილიტაცია, დღის ცენტრები, შინ მოვლა, ადრეული ჩარევა.

ამოცანა 6.3

შშმ პირთა, მათ შორის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის სისტემისა და ინოვაციურ მომსახურებათა დანერგვა (მაგ.: მხარდამჭერის ინსტიტუტი, პირადი ასისტენტი, „მხარდაჭერითი ცხოვრების“ დაწესებულებები და ა.შ.), მათი სტანდარტიზება და საკანონმდებლო უზრუნველყოფა.

ამოცანა 6.4

შშმ პირთა, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა შრომისა და დასაქმების თანაბარი უფლების უზრუნველსაყოფად, მათთვის მიწოდებული დასაქმების სერვისების ადაპტირება მათსავე საჭიროებებთან, შშმ სამუშაოს მაძიებელთა იდენტიფიკაცია და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

ამოცანა 6.5

შშმ პირთა დასაქმების მიზნით, სამუშაო ადგილების გონივრული მისადაგება, ღია ბაზარზე ასეთ პირთა დასაქმების ხელშეწყობა, სოციალური მეწარმეობის განვითარება და დამსაქმებელთა წახალისების სხვა მექანიზმების დანერგვა.

ამოცანა 6.6

შშმ პირთათვის ალტერნატიული და თემზე დაფუძნებული მომსახურებების განვითარება, რაც შემდეგ ასპექტებს მოიცავს: შინ მოვლა, მინდობით აღზრდა, სათემო სერვისებისა და გრძელვადიანი მომსახურების სხვა ფორმათა მოცულობის, ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა; შშმ პირთა სრული დეინსტიტუციონალიზაცია.